



სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ 2. ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრი 3. გრიგოლ გაგნიძე	1. 204952676 2. 404432565 3.	1. 0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. 2. თბილისი, ი. აბაშიძის ქ.12 ბ 3.
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	1. greenalt@greenalt.org 2. info@socialjustice.org.ge 3. gogagagnidze@gmail.com
				ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი:

1.1. ნინო გუჯარაიძე 1.2. ირმა მახათაძე 2. თამთა მიქელაძე		1.1. 0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. 1.2. თბილისი, კოსტავას ქ. #76ა, ბ.6 2. თბილისი, ი. აბაშიძის ქ.12 ბ
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

				ngujaraidze@greenalt.org irmamakhatadze2017@gmail.com tamta.mikeladze@socialjustice.org.ge
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე:

1. სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო 2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		1. ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 150; 2. 0114, ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.2
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	1. 2 295 00 30 2. 299 11 11			1. info@nam.gov.ge 2. ministry@moesd.gov.ge
სახლის ტელ..	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა
---------------	-------------	----------	-------------------

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი		
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი			
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

დავის საგანი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

2021 წლის 3 ივნისის სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს (ამჟამად მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს) უფროსმა მიიღო გადაწყვეტილება ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერში 153,1070ჰა ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე 2021 წლის 7 ივლისის ჩატარებულ აუქციონზე ორი ლიცენზია გაიყიდა. ერთი „შპს „ტექნოლოჯი 2021“-მ, მეორე კი „შპს „მნ ნორთი“-მ შეიძინა - გამარჯვებულებისთვის ლიცენზიის გადასაცემად გამოიცა: „შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/6405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #898/ს ბრძანება; და „შპს „მნ ნორთი“-ზე (ს/6405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #899/ს ბრძანება.

გადაწყვეტილებები მიღებული იქნა არაერთი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტის მოთხოვნების დარღვევით - დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის გარეშე და გარემოსათვის ზიანის მიყენების რისკების წინასწარი შეფასებისა და მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების და/ან შემსუბუქებისათვის ღონისძიებების დაგეგმვის გარეშე.

2021 წლის 15 ოქტომბერს მწვანე ალტერნატივამ, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა და გრიგოლ გაგნიძემ ადმინისტრაციული საჩივრით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართეს და მოითხოვეს ზემოხსენებული ბრძანებების ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ცნობა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მიიჩნია, რომ სააგენტოს მხრიდან გადაწყვეტილებების მიღებისას, გამოკვლულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, სადავო ბრძანებებში ასახულია კანონმდებლობით დადგენილი გარემოსდაცვითი მოთხოვნები და გათვალისწინებულია საჯარო ინტერესი, შესაბამისად, სახეზე არ არის სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 3 ივნისის N689/ს, 2021 წლის 9 ივლისის N898/ს და N899/ს ბრძანებების ბათილად ცნობის საფუძველები.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის არსებითი დარღვევით და უხეშად არღვევს დაინტერესებული პირების, მათ შორის ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას, ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრისა და გრიგოლ გაგნიძის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, რის გამოც წინამდებარე სარჩელი წარმოადგენს დარღვეული უფლების დაცვის ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 3 ივნისს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსმა გამოსცა № 689/ს ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი ათწლიანი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაყიდვის გეგმა. კერძოდ გადაწყდა:

1. დამტკიცებულიყო აუქციონის ჩატარებისათვის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია;
2. გამოცხადებულიყო ელექტრონული აუქციონი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ამავე ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1-ის შესაბამისად;
3. ელექტრონული აუქციონი ჩატარებულიყო ინტერნეტგვერდის – www.eauction.ge-ს მეშვეობით;
4. ბიჯის სიდიდე განსაზღვრულიყო საწყისი ფასის 10 %-ის ოდენობით;
5. აუქციონის ჩატარება ეთხოვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

მტკიცებულება - დანართი #1: „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის №689/ს ბრძანება;

2. ფაქტობრივი გარემოება

ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებში წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი გახდა, მოქალაქე ირაკლი ნოზაძის განცხადებები ID-15637 და ID-14725.

მტკიცებულება - დანართი #2: ირაკლი ნოზაძის 202 წლის 24 აგვისტოს განაცხადი დანართი #3. ირაკლი ნოზაძის 2020 წლის 20 ივლისის განაცხადი

3. ფაქტობრივი გარემოება

ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებში წარმოდგენილი გეოლოგიური პაკეტების თანახმად, განიხილებოდა აუქციონზე შემდეგი ობიექტების გამოტანა: შქმერის მანგანუმის საბადოს უბანი ქარნათი - 229 120 მ² ფართობით და შქმერის მანგანუმის საბადოს უბანი შქმერი, ქოლოსი-ბლაშე და მიმდებარე ტერიტორია - I უბანი - 248 630 მ², II უბანი - 10 060 მ², III – 8 400 მ², IV უბანი - 206 990 მ², V უბანი - 72 010 მ², VI უბანი - 157 500მ², VII უბანი - 598 360 მ² - ჯამში 1531070 მ² (153,1070ჰა).

მტკიცებულება - დანართი #4: გეოსაინფორმაციო პაკეტი 50521_15637 ID_2020; დანართი #5. გეოსაინფორმაციო პაკეტი 50353_14725_ID_2020

4. ფაქტობრივი გარემოება

21.09.2020 წლის 21 სექტემბერს წიაღის ეროვნულმა სააგენტომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში (ID 50521/15637 24.08.2020 წ.) ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე პოზიციის დაფიქსირების თხოვნით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიმართვის (#22/6815) პასუხად აცნობა, რომ „წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიიდან 0.6 ჰექტარი ემთხვევა რაჭა 4-ის (GE0000042) ზურმუხტის დამტკიცებულ ტერიტორიას“. თავის წერილში სამინისტრომ განმარტა, რომ „ზურმუხტის დამტკიცებულ (Designated), კანდიდატ (Candidate) და შეთავაზებულ (Proposed) ტერიტორიებზე, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) ევრო-დირექტივის თანახმად, ტერიტორიის მესაკუთრე ვალდებულია დაიცვას აღნიშნული ფართობი უარყოფითი ზემოქმედებისაგან და დაგეგმოს მისი საქმიანობა ისე, რომ დაცული იქნას ტერიტორიის ის ეკოლოგიური მახასიათებლები და კომპონენტები, რომელთა დასაცავადაც შეიქმნა ზურმუხტის ტერიტორია“. ამასთან, სამინისტრომ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში თუ ზურმუხტის ტერიტორიაზე დაგეგმილ ნებისმიერ საქმიანობას შესაძლოა ზეგავლენა ჰქონდეს ტერიტორიის ეკოლოგიურ მახასიათებლებზე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXVI დანართის მიხედვით, ბუნების დაცვის თავის, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) დირექტივის მეექვსე მუხლის შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია წარმოადგინოს ე.წ. ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასება

ნებართვის/ლიცენზიის გაცემის შემდეგ, საქმიანობის დაწყებამდე და არა **ლიცენზიის გაცემამდე**, როგორც ამას ითხოვს №92/43/EEC დირექტივა და როგორც ეს სწორად არის განმარტებული სამინისტროს ვებ-გვერდზე.

მტკიცებულება - დანართი #6: წიაღის ეროვნული სააგენტოს წერილი # 22/6815 21 / სექტემბერი / 2020 წ.; დანართი #7. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი N 9717/01, 15/10/2020 დანართი #8. [გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული სტრატეგიული დოკუმენტი „ზურმუხტის ქსელი“](#)

5. ფაქტობრივი გარემოება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიმართვის (#22/6897 23.09.2020) პასუხადაც №92/43/EEC დირექტივის იგივე, სიტუაციაზე მორგებული ინტერპრეტაცია დააფიქსირა და განმარტა: „რომ საპროექტო ტერიტორია ნაწილობრივ ემთხვევა რაჭა 4-ის (GE0000042) ზურმუხტის დამტკიცებულ ტერიტორიას. ზურმუხტის დამტკიცებულ (Designated), კანდიდატ (Candidate) და შეთავაზებულ (Proposed) ტერიტორიებზე, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) ევრო-დირექტივის თანახმად ტერიტორიის მესაკუთრე ვალდებულია დაიცვას აღნიშნული ფართობი უარყოფითი ზემოქმედებისაგან და დაგეგმოს მისი საქმიანობა ისე, რომ დაცული იქნას ტერიტორიის ის ეკოლოგიური მახასიათებლები და კომპონენტები, რომელთა დასაცავადაც შეიქმნა ზურმუხტის ტერიტორია. იმ შემთხვევაში თუ ზურმუხტის ტერიტორიაზე დაგეგმილ ნებისმიერ საქმიანობას შესაძლოა შეგავლენა ჰქონდეს ტერიტორიის ეკოლოგიურ მახასიათებლებზე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXVI დანართის მიხედვით, ბუნების დაცვის თავის, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) დირექტივის მეექვსე მუხლის შესაბამისად, **ნებართვის/ლიცენზიის გაცემის შემდეგ, საქმიანობის დაწყებამდე**, საქმიანობის განმარტებული ვალდებულია წარმოადგინოს ე.წ ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასება“.

მაშინ, როდესაც სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში აღნიშნულია: „ზურმუხტის დამტკიცებულ (Designated), კანდიდატ (Candidate) და შეთავაზებულ (Proposed) ტერიტორიებზე, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) დირექტივის თანახმად ტერიტორიის მესაკუთრე ვალდებულია დაიცვას აღნიშნული ფართობი უარყოფითი ზემოქმედებისაგან და დაგეგმოს მისი საქმიანობა ისე, რომ დაცული იყოს ტერიტორიის ის ეკოლოგიური მახასიათებლები და კომპონენტები, რომელთა დასაცავადაც შეიქმნა ზურმუხტის ტერიტორია. იმ შემთხვევაში თუ ზურმუხტის ტერიტორიაზე დაგეგმილ საქმიანობას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ტერიტორიის ეკოლოგიურ მახასიათებლებზე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXVI დანართის მიხედვით, ბუნების დაცვის თავის, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) დირექტივის მეექვსე მუხლის შესაბამისად, **ლიცენზიის გაცემამდე** საქმიანობის განმარტებული ვალდებულია წარმოადგინოს ე.წ ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასება“.

მტკიცებულება - დანართი #9: წიაღის ეროვნული სააგენტოს წერილი # 22/6897 23 / სექტემბერი / 2020 წ.; დანართი #10: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი N 9943/01, 21/10/2020; დანართი #8. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული სტრატეგიული დოკუმენტი „ზურმუხტის ქსელი“

6. ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის იანვარში დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ მოქალაქე ირაკლი ნოზაძის (მისივე განცხადებით დაიწყო მინერალური რესურსების სააგენტომ ადმინისტრაციული წარმოება ლიცენზიების გაყიდვისათვის) განცხადების საფუძველზე დაიწყო გამოძიება შქმერში მიწის ნაკვეთების თაღლითობის გზით დაუფლებისა და სამსახურებრივი სიყალბის ჩადენის ფაქტებზე. შედეგად, შქმერში მცხოვრები 5 პირი, რომლებმაც 2018-2020 წლებში დაარეგისტრირეს მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები პროკურატურამ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

ინტერნეტ-გამოცემა მთის ამბების რეპორტაჟის თანახმად, პროკურატურამ ყველა ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა, რომელიც 4 ივნისს, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა. ბრალდებულებს ფულადი ჯარიმის გადახდა დაეკისრათ და პირობითი სასჯელი მიესაჯათ. საპროცესო შეთანხმებისთვის აუცილებელია ბრალდებულმა დანაშაული აღიაროს. მედიასაშუალების წარმომადგენლები ხუთივე მსჯავრდებულს შეხვდნენ. დანაშაულის ჩადენას არცერთი მათგანი არ ადასტურებს.

რეპორტაჟის თანახმად, „ბრალდებულებს ხელთ აქვთ 24 წლის წინ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტები, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის N 327 ბრძანებულებით დამტკიცებული მიწის საკუთრების

სარეგისტრაციო მოწმობები (ე.წ. შევარდნაძის ხელმოწერილი ლურჯი პასპორტები) რაც ადასტურებს, რომ ისინი შუა შქმერში მიწის ნაკვეთებს ნამდვილად ფლობდნენ. ამ დოკუმენტებში აღნიშნული და პროკურატურის მიერ სადავოდ გამხდარი ნაკვეთების ფართი ერთი და იგივეა.

შქმერში მცხოვრები იზა გაგნიძე წლების განმავლობაში ჯერ მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ონის სამმართველოში მუშაობდა მიწათმომწეობად, შემდეგ კი, 2015 წლამდე შქმერში ონის მერის წარმომადგენლად. ამბობს, რომ ე.წ. გადმა ყანების ტერიტორიაზე, სადაც მიწის ნაკვეთების მფლობელობა სადავო გახდა, მიწა კანონიერად იყო განაწილებული იმ დროისთვის შქმერში მუდმივად მცხოვრებ ოჯახებზე. მიწის განაწილების პროცესში თვითონაც ჩართული იყო. „დანამდვილებით ვიცი რაც გავეცი და ვის რომელი ადგილი ეკუთვნოდა. როცა დამიბარეს, დოკუმენტებიც წარუდგინებ პროკურატურას. საკუთრებად რაც დაირეგისტრირეთ, ეგ ადგილი თქვენ არ გეკუთვნითო. თუ ეს არასწორად მაქვს საკუთრებაში, მაშინ ამ მიღება-ჩაბარების აქტში რაც არის და ამ პასპორტში, ეს ადგილი რომელია მეტი? ხომ უნდა მითხრას, რომელია ეს ნაკვეთი. მაშინ საიდან მიმტკიცებს, რომ შეცდომით დავირეგისტრირე? რას მეტყვიან, რანაირად უნდა მითხრან, როცა ზუსტად ის ადგილი მქონდა რეგისტრირებული, რაც მეკუთვნოდა და რასაც წლების განმავლობაში ვამუშავებდით, ვთიბავდით, სხვებიც, ვიდრე სოფელში ხალხი იყო“, - ამის მიუხედავად პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება იზა გაგნიძემაც გააფორმა და ბრალს დაეთანხმა: „მეშინია. შეიძლება მოდგნენ და დაგიჭირონ, შერცხვებათ თუ? 70 წელს გადაცილებული ვარ, არასოდეს მქონია პროკურატურასთან საქმე და რა თქმა უნდა, ვნერვიულობ. სიმართლეს მედავებიან, მაგრამ შენი სიმართლე გადის?“

პროკურატურა თაღლითობას ედავება 85 წლის კაზლო გლოველსაც. ბრალდება აქაც იგივეა - კაზლო გლოველი სოფლის გამგებლის დახმარებით, უკანონოდ დაუფულა სოფელ შქმერში მდებარე 1500 კვადრატულ მეტრ მიწას ისე, რომ წარსულში ეს ნაკვეთი არც მას და არც მის ოჯახს არ ეკუთვნოდა. შქმერში მართო მცხოვრებ მოხუცს, ბრალის წარსადგენად ქუთაისში, საოლქო პროკურატურაში იბარებენ. კაზლო გლოველსაც აქვს მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ადასტურებს, რომ მას 1997 წელს, შუა შქმერში, 1500 კვადრატული მეტრი ფართობი გადაეცა. სხვა ნაკვეთი მას არ ჰქონია. პროკურატურაში გვითხრეს, რომ კაზლო გლოველის მიმართ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) დევნის დასაწყებად აუცილებელი მტკიცებულებითი სტანდარტი, რაც უახლოეს პერიოდში განხორციელდება. უწყების განმარტებით, დევნის დაწყება კაზლო გლოველის ავადმყოფობის გამო გაჭიანურდა.

შქმერის კიდევ ორი მკვიდრი, ვისაც პროკურატურა ასევე თაღლითობის გზით მიწის ნაკვეთების უკანონოდ დაუფლებას ედავება, გარდაცვლილია, თუმცა მათ ნაკვეთებს ყადაღა დაადეს და ჩამოართმევნ. სხვებს უკვე ჩამოართვეს“.

საგულისხმოა, რომ რეპორტაჟი 2021 წლის 6 ივლისს, აუქციონის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე გამოქვეყნდა და მაშინვე დიდი გამოხამურება ჰპოვა საზოგადოებაში.

რეპორტაჟში აღწერილი ფაქტები ლიცენზიის შექმნით დაინტერესებული პირის მხრიდან მოსახლეობის დაშინებისა და მათზე ზემოქმედების, სულ მცირე, ეჭვის აღძვრის საფუძველი უნდა გამხდარიყო მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსათვის საკითხის საფუძვლიანი გამოკვლევის პირობებში. ამასთან არ არის გამორიცხული, რომ მსგავს ფაქტებს სხვა მოქალაქეების მიმართაც ჰქონდა ადგილი და რაც ასევე არ გამხდარა მოკვლევის საგანი.

მტკიცებულება - დანართი#11 „[შქმერში მანგანუმის მოპოვება სურთ - გაიზიარებს თუ არა ზემო რაჭა ჭიათურის ბელს](#)“, [ინტერნეტ-გამოცემა მთის ამბების რეპორტაჟი](#);

7. ფაქტობრივი გარემოება

2018 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით, მომზადდა ონის მუნიციპალიტეტისა და სოფლების - უწერის, მრავალძაღისა და კურორტ შოვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების პროექტის ფარგლებში მომზადდა სოფელ შქმერის განვითარების კონცეფცია. გეგმის ავტორები არიან: შპს არტსტუდიო პროექტი, შენობა-ნაგებობათა ინსტიტუტი საქართველო და შპს გამა კონსალტინგი. გეგმის თანახმად, „დოკუმენტი წარმოადგენს სოფელ შქმერის განვითარების კონცეფციის საბოლოო ვერსიას, რომლის მიზანია გამოავლინოს ის პირობები, რომლის ფარგლებშიც მოახდინა სოფელმა არსებობა და განსაზღვროს ის მიმართულებები, რამაც შესაძლოა უზრუნველყოს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება.“

საბოლოოდ, კი შედეგი მიმართულია სოფლის მოსახლეობის შენარჩუნებისკენ, რაც ძირითადი გამოწვევაა არა მხოლოდ ონის მუნიციპალიტეტის, არამედ ზოგად ად ქვეყნის მაკროეკონომიკის სოფლებისათვის“.

გეგმის შემუშავების ფარგლებში შეფასდა იმ პერიოდისათვის სოფელ შქმერში მოქმედი მანგანუმის მოპოვების ლიცენზიების გავლენა სოფლის განვითარებაზე და შქმერში წიაღით სარგებლობა შეფასდა როგორც სოფლის ინტერესებთან შეუსაბამო: „სოფლის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არის მანგანუმის დიდი რესურსი და მის შესწავლასა და მოპოვებაზე გაცემულია ლიცენზიები, რომლითაც განსაზღვრულ ტერიტორიებს დიდი ფართობი უჭირავს და მნიშვნელოვნად ფარავს განაშენიანებულ და სასოფლო ტერიტორიებს, კულტურული მემკვიდრეობის, ბუნების ძეგლებს, ტყის საფარსა და ზურმუხტის ქსელს... უნდა აღინიშნოს, რომ წიაღისეულის მოპოვებაზე გაცემული ლიცენზიები კონფლიქტში მოდის შქმერის სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების პერსპექტივასთან. სოფელს გააჩნია მნიშვნელოვანი ტურისტული პოტენციალი და შესაბამისად, კარგად უნდა შეფასდეს სოფლისთვის პრიორიტეტული მიმართულება“.

დოკუმენტში წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული შემდეგი რისკებია იდენტიფიცირებული:

- გარემოს დაბინძურება, დეგრადირება, დაზიანება;
- წარმოება და მოპოვებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ტურიზმის განვითარებას და სურსათის უვნებლობას;
- გრძელვადიან პერსპექტივაში არამდგრადი ეკონომიკური ვექტორი.
- მოპოვებაში დასაქმებული მუშახელი მოაკლდება სოფლის მეურნეობის და ტურიზმის ინდუსტრიას, ახალ ინიციატივებს.
- საწარმოს დახურვის/ შეჩერების შემთხვევაში უმუშევრობის მკვეთრი ზრდის საფრთხე.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტომ 2021 წლის 3 ივნისის № 689/ს ბრძანებით (რომლითაც დამტკიცდა სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი ათწლიანი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაყიდვის გეგმა) მიიღო გადაწყვეტილება რომელიც ეწინააღმდეგება სოფლის შქმერის განვითარების კონცეფციას და მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს.

მტკიცებულება - დანართი #12: [სოფელ შქმერის განვითარების კონცეფცია](#)

7. ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 9 ივლისს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსმა გამოსცა ბრძანება #898/ს „შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/6405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“.

სააგენტომ შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/6405470869) ონის მუნიციპალიტეტის სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, შქმერის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) შესწავლა-მოპოვების მიზნით 229120 მ² ფართობზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების 10 წლიანი ლიცენზია ისე გასცა, რომ არ ჰქონდა დეტალური ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის მარაგების შესახებ და თავად ლიცენზიანტს დაავალა რესურსის შესწავლა და სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა; ასევე, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცების შემდეგ ლიცენზიის მფლობელმა უნდა წარუდგინოს სააგენტოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.

ლიცენზიის მფლობელს დაევალა დეტალური საძიებო სამუშაოების ჩატარება, რომელიც საჭიროებისამებრ, უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით და ამ შესწავლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობით. ამასთანავე ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, სამთო სამუშაოების დაწყებამდე შეადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და სამუშაოების განხორციელებისას მუდმივად უზრუნველყოს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი.

ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებაც ლიცენზიანტს დაევალა (მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად).;

არ მომხდარა ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების წინასწარი შეფასება - ამის უზრუნველყოფაც ლიცენზიის მფლობელს დაევალა შესწავლის პარალელურად.

ასევე, ლიცენზიის მფლობელს დაევალა საქმიანობის პარალელურად „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად სკოპინგის პროცედურის გავლა - ანუ პროცედურის გავლა, რომელიც საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების წინასწარ შეფასებისათვის კვლევის ფარგლებს დადგენას გულისხმობს.

ასევე, ლიცენზიის პირობების თანახმად, (დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 15 ოქტომბრის N9717/01 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები; და (ჯ) ვალდებულია დაიცვას სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის #1624, 10.09.2020წ. (ID_15637_50521) სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე დადგენილი პირობები.

მტკიცებულება - დანართი #13: „შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #898/ს ბრძანება;

8. ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 9 ივლისს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსმა გამოსცა ბრძანება #899/ს „შპს „მნ ნორთი“-ზე (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“.

სააგენტომ შპს „მნ ნორთი“-ზე (ს/ნ 405470967) ონის მუნიციპალიტეტის სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, მანგანუმის (უბნები: შქმერი, ქოლოსი-ბლაშე) მოპოვების ლიცენზია 10 წლის ვადით 1 301 950 მ² ფართობზე ისე გასცა, რომ არ ჰქონდა დეტალური ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის მარაგების შესახებ და ლიცენზიანტს დაავალა რესურსის შესწავლა და სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა; ასევე, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცების შემდეგ ლიცენზიის მფლობელმა უნდა წარუდგინოს სააგენტოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.

ამ შემთხვევაშიც ლიცენზიანტს დაევალა დეტალური საძიებო სამუშაოების ჩატარება ასევე ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, სამთო სამუშაოების დაწყებამდე შეადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და სამუშაოების განხორციელებისას მუდმივად უზრუნველყოს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი. შესწავლის პერიოდში პარალელურ რეჟიმში ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება.

უკვე გაცემული ლიცენზიის ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებაც ლიცენზიანტს დაევალა (მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად).

(დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 21 ოქტომბრის N9943/01 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები; და (ჯ) ვალდებულია დაიცვას ასევე სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის #1669, 21.09.2020წ. (ID_14725_50353) სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე დადგენილი პირობები.

მტკიცებულება - დანართი #14. “მპს „მნ ნორთი“-ზე (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #899/ს ბრძანება;

9. ფაქტობრივი გარემოება

მწვანე ალტერნატივამ 2021 წლის 6 აგვისტოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართა სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერში მანგანუმის მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიების შესახებ ინფორმაცია. პასუხად, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 27 აგვისტოთი დათარიღებული #22/311 წერილი მწვანე ალტერნატივას 2021 წლის 16 სექტემბერს გადაეცა; ამასთან მოთხოვნილი ინფორმაცია არ იყო სრულად გადმოცემული. დამატებითი მიმართვის საფუძველზე მწვანე ალტერნატივას მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად 2021 წლის 29 სექტემბერს გადაეცა.

გრიგოლ გაგნიძემ 2021 წლის 28 სექტემბერს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართა სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერში მანგანუმის მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიების შესახებ ინფორმაცია. მოთხოვნილი ინფორმაცია გრიგოლ გაგნიძეს 2021 წლის 15 ოქტომბერს გადაეცა.

მტკიცებულება -

- დანართი #15. მწვანე ალტერნატივას 2021 წლის 6 აგვისტოს № 21/03-851 წერილი;
- დანართი #16. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 27 აგვისტოს #22/311 წერილი;
- დანართი #17. მწვანე ალტერნატივას 2021 წლის 2 სექტემბრის № 21/03-857 წერილი;
- დანართი #18. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 29 სექტემბრის #22/311 წერილი;
- დანართი #19. გრიგოლ გაგნიძის 2021 წლის 28 სექტემბრის წერილი;
- დანართი #20. წიაღის ეროვნული სააგენტოს 28 სექტემბრის წერილი;
- დანართი #21. გრიგოლ გაგნიძის 2021 წლის 8 ოქტომბრის წერილი;
- დანართი #22. წიაღის ეროვნული სააგენტოს 15 ოქტომბრის წერილი;

9. ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 25 სექტემბერს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერის მოსახლეებმა წერილით მიმართეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს, და საქართველოს მთავრობას. გასაჩივრებული აქტების ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოქალაქეები ამტკიცებენ, რომ ლიცენზიების გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე მათთვის ცნობილი არ ყოფილა. მიმართვაში აღნიშნულია: „მოგახსენებთ, რომ არავინ, არც შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებიდან და არც მომპოვებელი კომპანიიდან დაინტერესებულა ადგილობრივი მაცხოვრებლების აზრით ამ პროცესზე, არ მოუწოდებია მოპოვების ზიანის შესახებ ინფორმაცია, მოყვება თუ არა ხსენებულ პროცესს ეკოსისტემის შენარჩუნება, გათვალისწინებული იქნება თუ არა ჩვენი უფლებები და ინტერესები. ასევე არ გასაჯაროებულა კვლევის შედეგები, რომელიც დაგვარწმუნებდა, რომ მოპოვების უპირატესობა იმხელაა, რომ ნამდვილად დირს ადგილობრივი უნიკალური ფლორის და ეკოსისტემის განადგურება. სოფლის ტერიტორიის ნაწილი, რიგ შემთხვევაში მათი მამაპაპისეული ნაკვეთები, ხსენებული კომპანიებიდან ერთ-ერთის თანამშრომლის საჩივრის საფუძველზე ჩამოერთვათ კანონიერ მფლობელებს, სოფელ შქმერის მაცხოვრებლებს და აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები პროკურატურაში, შედეგად კი მათ არ აკმარეს მიწების ჩამორთმევა და მიუსაჯეს პირობითი მსჯავრები, დაეკისრათ ჯარიმები. ხსენებული ნაკვეთები გაფორმებული იყო კანონიერად და ამ პროცესში ჩართული იყო არაერთი სახელმწიფო სტრუქტურა, სანქციები კი დაეკისრათ მხოლოდ მოქალაქეებს, რომლებმაც თავის დროზე ნდობა გამოუცხადეს შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს. აღნიშნული ქმედება აჩენს ეჭვს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია მიკერძოებულად, მომპოვებელი კომპანიების სასარგებლოდ. ასევე იქმნება გარემო, როცა ნებისმიერი ჩვენთაგანი, ვინც ვცხოვრობთ და კანონიერად ვფლობთ უძრავ ქონებას, ჩვენს მამაპაპისეულ ნაკვეთებს სოფელ შქმერის ტერიტორიაზე, შესაძლოა აღმოვჩნდეთ მსგავს მდგომარეობაში ძალიან მალე, როცა არ ვიქნებით დაცულნი და შესაძლოა მომპოვებელი კომპანიების ინტერესებიდან გამომდინარე დავკარგოთ კუთვნილი ქონება“. მოქალაქეები საქართველოს პარლამენტს საკითხის შესწავლას და მათი ინტერესების გათვალისწინებით პრობლემის გადაწყვეტის გზების მოძიებას ითხოვენ.

მტკიცებულება - დანართი 23. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის მიმართვა პარლამენტს, 25.09.2021

10. ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 21 ნოემბერს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერის მკვიდრებმა და მათმა მხარდამჭერებმა სოფლის მიწაზე მანგანუმის მოპოვების დაგეგმილი სამუშაოების წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გამართეს და გაცემული ლიცენზიების ბათილად ცნობა მოითხოვეს.

მტკიცებულება - 24. „ადგილობრივი რაჭაში მანგანუმის დაგეგმილ მოპოვებას აპროტესტებენ“, 24/11/2021, civil.ge

11. ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 1 ნოემბერს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“ საჩივრით მიმართა წიაღის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ლიცენზიანტების მიერ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერის ტერიტორიაზე წიაღისეული მოპოვების #10002204 და #10002205 ლიცენზიების პირობებთან და კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება.

წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 9 დეკემბრის წერილის თანახმად, „ადგილზე დათვალიერება/შესწავლის შედეგად გამოვლინდა შპს „ტექნოლოჯი 2021“-ს მიერ #10002204 ლიცენზიის პირობების დარღვევები, რაზეც სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის მიერ გატარებულ იქნა შესაბამისი ადმინისტრაციული ზომები, კერძოდ: სალიცენზიო პირობების დარღვევის გამო კომპანიის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 003417 ოქმი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³ -ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, რომელიც 2021 წლის 16 ნოემბრის #22/7805 წერილით განსახილველად გაიგზავნა ონის მაგისტრატ სასამართლოში“.

წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ დამატებით მოწოდებული ინფორმაციის თანახმად: „შემოწმების პროცესში დადგინდა, რომ შპს „ტექნოლოჯი 2021“-ის მიერ დარღვეულია #10002204 ლიცენზიის პირობები, კერძოდ:

1. მარაგების დამტკიცებამდე და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე კომპანია ახორციელებს სასარგებლო წიაღისეული მოპოვებას.
2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში არ აქვს წარდგენილი ე.წ. „ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასება“.
3. არ აქვს გავლილი სკოპინგის პროცედურა.
4. გეგმა-გრაფიკის შესაბამისად არ აქვს მოწყობილი საბურღი მოედნები და არ აწარმოებს 2021 წლის პერიოდში განსახორციელებელ საძიებო-გეოლოგიურ ბურღვით სამუშაოებს.
5. ლიცენზიით გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობას ახორციელებს მიწის მესაკუთრესთან შეთანხმების გარეშე“.

წიაღის ეროვნული სააგენტოს მიმართვის სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 2021 წლის 29 ნოემბერს განხორციელდა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნედლი მადნის მოპოვების ადგილის შესწავლა დათვალიერება. შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ შპს. „ტექნოლოჯი 2021“-ს (ს.კ 405470869) მიერ 540,1 ტონა 23,37%-იანი მანგანუმის მადნის უკანონო მოპოვების შედეგად გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 11 569,11 (თერთმეტიათას ხუთას სამოცდაცხრა ლარი და 11თეთრი) ლარი.

მტკიცებულება - 25. მწვანე ალტერნატივას 2021 წლის 1 ნოემბრის #21/09/03-82 წერილი; 26. წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 9 დეკემბრის #22/8365 წერილი. 27. წიაღის ეროვნული სააგენტოს წერილი #22/404, 27 დეკემბერი/2021 წ. 28. შპს „ტექნოლოჯი 2021“-ს (ს.კ 405470869) მიერ მანგანუმის მადნის უკანონო მოპოვების შედეგად გარემოსათვის მიყენებულმა ზიანის გაანგარიშება, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, 11.01.2022

12. ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 15 ოქტომბერს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“, ა(ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრმა“ და გრიგოლ გაგნიძემ ადმინისტრაციული საჩივრით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართეს და მოითხოვეს:

1. ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან - „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის № 689/ს ბრძანება;
2. ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან - „შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/6405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების

ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #898/ს ბრძანება;

3. ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან - “შპს „მნ ნორთი“-ზე (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #899/ს ბრძანება;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 28 ოქტომბრის № 1-1/469 ბრძანებით აღმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული. აღმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადად განისაზღვრა წარმოებაში მიღების დღიდან 2 თვე. 2022 წლის 15 თებერვალს საჩივრის ზეპირი მოსმენაც გაიმართა, თუმცა სამინისტროს წინამდებარე აღმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის დადგენილ ორ თვიან ვადაში გადაწყვეტილება არ მიუღია.

მტკიცებულება - 28. აღმინისტრაციული საჩივარი; 29. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 28 ოქტომბრის № 1-1/469 ბრძანება;

13. ფაქტობრივი გარემოება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2022 წლის 25 იანვრის N1-1/26 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა ა(ა) იპ „მწვანე ალტერნატივას“ (ს/ნ: 204952676), ა(ა)იპ - სოციალური სამართლიანობის ცენტრისა (ს/ნ: 404432565) და გრიგოლ გაგნიძის (პ/ნ: 35001025997) 2021 წლის 18 ოქტომბრის N14921/21 აღმინისტრაციული საჩივარი - „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის № 689/ს ბრძანების „შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #898/ს ბრძანებისა და - “შპს „მნ ნორთი“-ზე (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #899/ს ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე.

სამინისტროს მიაჩნია, რომ სააგენტოს მხრიდან გადაწყვეტილებების მიღებისას, გამოკვლევულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, სადავო ბრძანებებში ასახულია კანონმდებლობით დადგენილი გარემოსდაცვითი მოთხოვნები და გათვალისწინებულია საჯარო ინტერესი, შესაბამისად, სახეზე არ არის სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 3 ივნისის N689/ს, 2021 წლის 9 ივლისის N898/ს და N899/ს ბრძანებების ბათილად ცნობის საფუძველები.

მტკიცებულება - დანართი 30. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2022 წლის 25 იანვრის N1-1/26 ბრძანება.

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან - „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის № 689/ს ბრძანება.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული - „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის № 689/ს ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, შემდეგ გარემოებათა გამო:

1.1. სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

მაშასადამე, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი. სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. გასაჩივრებული - „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის № 689/ს ბრძანება ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, ვინაიდან გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ამ მმართველობითი ღონისძიების შედეგად დამტკიცებულია ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი ათწლიანი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაყიდვის გეგმა.

1.2. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოებს უკრძალავს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ რაიმე ქმედების განხორციელებას და იქვე განსაზღვრავს, რომ უფლებამოსილებით გადამეტებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს.

1.3. ადმინისტრაციული აქტის მიღებისას დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება გულისხმობს შესაძლებლობას, ადმინისტრაციულმა ორგანომ თავად აირჩიოს კანონმდებლობის მიერ განსაზღვრული რამდენიმე ღონისძიებიდან კონკრეტული ვითარებისათვის ყველაზე უფრო მისაღები სამართლებრივი შედეგი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად დისკრეციული უფლებამოსილება არის „უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება“. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ერთი მხრივ, დაცული უნდა იქნეს იმ ნორმის ფარგლები, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება; ხოლო, მეორე მხრივ, დაცული უნდა იქნეს, ზოგადად, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები.

1.4. სზაკ-ის 7.1 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით „ადმინისტრაციული ორგანოს პეროგატივაა მის კომპეტენციაში შემავალი საკითხი გადაწყვიტოს არა მხოლოდ კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი კანონის მოთხოვნებს, არამედ ადმინისტრაციულმა ორგანომ აქტის გამოცემისას უნდა იხელმძღვანელოს მიზანშეწონილობის კრიტერიუმებითაც. სამართლებრივი აქტი უნდა პასუხობდეს მიზანშეწონილობისა და კანონიერების მოთხოვნებს. მიზანშეწონილობა გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლებლობას საჯარო ინტერესების გათვალისწინებით ოპტიმალურად გადაწყვიტოს სადავო საკითხი და განახორციელოს შესაბამისი მმართველობითი ღონისძიება.“ (ბს-755-741(კ-კს-14).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით (საქმე ბს№1655-1627 (კ-11), 11.04.2012წ.) ასევე განსაზღვრულია, რომ „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება არ ნიშნავს თანაზომიერების და კანონიერების პრინციპის უგულვებლყოფის შესაძლებლობას. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, რათა ადგილი არ ჰქონდეს პროცედურულ დარღვევებს, კანონის ფარგლების გაცდენას. სასამართლო ხელისუფლება ამოწმებს აღმასრულებელი ხელისუფლების, ადმინისტრაციული ორგანოების ნორმა შეფარდებითი საქმიანობის კანონიერებას და იგი არ არის შეზღუდული ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შედეგად პირის კანონით დაცულ უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად არ უნდა აღემატებოდეს იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ უნდა გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. დასაბუთების ვალდებულება განპირობებულია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით. დასაბუთებაში აღნიშნული უნდა იყოს შეხედულებები, მოსაზრებები და გარემოებები, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღების დროს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაბუთების, როგორც თვითნებობისაგან დაცვის ვალდებულების იგნორირება წარმოადგენს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში შეცდომის დადგენის და აქტის გაუქმების საფუძველს“.

მოცემულ შემთხვევაში დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას ადმინისტრაციულ ორგანომ საერთოდ არ მოახდინა კერძო და საჯარო ინტერესების შეპირისპირება და სათანადო ობიექტური გადაწყვეტილების მიღება.

მოცემულ დავში საჯარო ინტერესებად გვევლინება სოფელ შქმერის უნიკალური ბუნება (გარემო) და ადგილობრივი მოსახლეობა/საქართველოს მოქალაქეები (მათი ჯანსაღ გარემოში ცხოვრება და სხვა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები (სიცოცხლის უფლება, თავისუფლად გადაადგილების უფლება და ა.შ). ხოლო კერძო ინტერესად განხილულ უნდა იქნას კომპანიის ინტერესები და გარკვეული დათქმებით თანხა, რომელიც ბიუჯეტში შევა ლიცენზიის გაყიდვის შედეგად. სადაო ადმინისტრაციულ აქტებში, აღნიშნულთან დაკავშირებით საერთოდ არ არის ნამსჯელი. არ არის შეპირისპირებული საჯარო და კერძო ინტერესები, პოტენციურად მისაღები სიკეთე და უარყოფითი შედეგები. აქტები იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია იმის გარკვევა, ადმინისტრაციული ორგანომ რატომ გადაწყვიტა, რომ ამ ტერიტორიაზე შესწავლა-მოპოვებითი ლიცენზიის გაცემა მიზანშეწონილი იყო და დააყენა საჯარო ინტერესებზე მაღლა.

1.5. სზაკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. ამასთანავე, კოდექსის იმავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ:

- ა) ის გამოცემულია დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე და არ ზღუდავს მესამე პირების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს;
- ბ) დაინტერესებული მხარისათვის ცნობილია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზედაც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- გ) კანონი ითვალისწინებს მისი დასაბუთების გარეშე გამოცემის შესაძლებლობას.

გასაჩივრებული აქტი არ მოიცავს დასაბუთებას. არცერთი ჩამოთვლილი გამონაკლისიდან მოცემულ შემთხვევაში არ არის რელევანტური, პირიქით, გასაჩივრებული აქტი ზღუდავს დაინტერესებული საზოგადოების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს; დაინტერესებული საზოგადოებისათვის უცნობია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზედაც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და არც კანონი ითვალისწინებს მისი დასაბუთების გარეშე გამოცემის შესაძლებლობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში და ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება აღქმული არ იქნეს თვითნებობად, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამ თუ იმ გადაწყვეტამდე. გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

როგორც სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა თავის [გადაწყვეტილებაში საქმეზე N3ბ/1944-15](#) - „აქტის დასაბუთებულად მიჩნევისათვის სრულებითაც არ კმარა მასში მხოლოდ კანონმდებლობის ცალკეული ნორმების მოხმობა, რადგან, დასაბუთება გულისხმობს როგორც სამართლებრივ, ასევე ფაქტობრივ დასაბუთებას. ... აქტის დასაბუთება კი დიდწილად განაპირობებს აქტის კანონიერებას“.

1.9. სზაკ-ის 96-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ფაქტობრივ გარემოებებში აღწერილი ყველა ფაქტი ნათლად წარმოაჩენს, რომ წიაღის ეროვნულმა სააგენტომ არ შეასრულა მისი ვალდებულება - გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც შეიძლება გამხდარიყო საფუძველი განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების. რაც ზოგად ადმინისტრაციული კანონმდებლობის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

1.10. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად: მოქალაქეს უფლება აქვს:

- ა) ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ და ჯანსაღ გარემოში;
- ბ) სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი;

გ) მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ;

ვ) მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებებით ილახება “გარემოს დაცვის შესახებ” კანონით ჩვენთვის მონიჭებული ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები, ვინაიდან გადაწყვეტილებები მიღებული იქნა ჩვენი საარსებო გარემოსათვის ზიანის მიყენების რისკების წინასწარი შეფასებისა და ჩვენი მონაწილეობის გარეშე.

1.11. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის თანახმად:

ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. **ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე.**

გასაჩივრებული გადაწყვეტილებებით ილახება საქართველოს კონსტიტუციით ჩვენთვის მონიჭებული ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრებისა და ბუნებრივი გარემოთი თავისუფლად სარგებლობის უფლებები ვინაიდან გადაწყვეტილებები მიღებული იქნა გარემოსათვის ზიანის მიყენების რისკების წინასწარი შეფასებისა და მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების და/ან შემსუბუქებისათვის ღონისძიებების დაგეგმვის გარეშე. მიღებული გადაწყვეტილება გარემოს დაცვაზე ზრუნვის ჩვენი უფლების უგულებელყოფით მოხდა. ამავდროულად, ამ გადაწყვეტილებების წინასწარი შეფასების გარეშე მიღებით, სახელმწიფომ უგულებელყო ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობის უზრუნველსაყოფის შესახებ მისი ვალდებულება.

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება სწორედ სახელმწიფოების გარემოსდაცვითი ვალდებულებებიდან წარმომდგარი უფლებაა, რომლის მიხედვითაც, ერთი მხრივ, ყველა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, იცხოვროს მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უვნებელ გარემოში, ჰქონდეს სრული ინფორმაცია თავისი საცხოვრებელი გარემოს შესახებ და, მეორე მხრივ, სახელმწიფოები ვალდებული არიან, ეკონომიკური პროგრესი შეუსაბამონ გარემოსდაცვით საჭიროებებს და იმგვარად გამოიყენონ ბუნებრივი რესურსები, რომ დაცული იყოს ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესები.

გასათვალისწინებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრება, რომელიც გამოთქმულია კონსტიტუციის ძველის რედაქციით 37-ე მუხლის დანაწესებზე, თუმცა აქტუალურია ახალი რედაქციით 29-ე მუხლთან მიმართებაშიც. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის [№2/1/524 გადაწყვეტილებაში](#) საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს:

„საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“. აღნიშნული კონსტიტუციური დანაწესი, ერთი მხრივ, განამტკიცებს ადამიანის ძირითად უფლებას, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, ხოლო, მეორე მხრივ, ადგენს, საზოგადოების თითოეული წევრის ვალდებულებას, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. აქედან გამომდინარე, სასამართლომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის შინაარსი უნდა განმარტოს ამ ორი მნიშვნელოვანი კომპონენტის შინაარსის გათვალისწინებით. ამავდროულად, კონსტიტუციური უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრისას, უნდა ვიხელმძღვანელოთ ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოზე ხელმისაწვდომობის სტანდარტით. კონსტიტუციის აღნიშნული დებულებებით დაცული ვერ იქნება პირის უფლება, იცხოვროს მისთვის კომფორტულ ან/და ესთეტიკურად მისაღებ გარემოში და სახელმწიფოსგან მოითხოვოს აღნიშნულის უზრუნველყოფა. კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების რეგულირების მიზანია, ყველამ იზრუნოს არსებულ ბუნებრივ გარემოზე და სახელმწიფოსგან მოითხოვოს მისი დაცვა. გარემო პირობების მზარდმა დეგრადაციამ და მასთან

დაკავშირებულმა პრობლემებმა გარდაუვალი გახადა ჯანმრთელობისთვის უვნებელი გარემოს კონსტიტუციური დაცვის საჭიროება. საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი მიუთითებს, რომ „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში“ და გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები მხოლოდ გარემოს დაცვისაკენ მიმართულ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპად იქნეს განხილული. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შინაარსის, დანიშნულებისა და სულისკვეთების გათვალისწინებით უდავოა, რომ კონსტიტუცია ესწრაფვის ჯანსაღ გარემოზე უფლების მაღალი სტანდარტის ჩამოყალიბებას და მას ადამიანის ძირითად უფლებად განიხილავს. ეკოლოგიური უფლებების კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში მოქცევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოებრივი მონაწილეობისა და სხვა გარემოსდაცვითი მექანიზმების გამართული, ეფექტური მუშაობისა და კოორდინაციისათვის. ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების დადგენით, საქართველოს კონსტიტუცია ადასტურებს და განამტკიცებს კონსტიტუციურ ღირებულებათა წესრიგში მდგრადი ეკოლოგიური განვითარების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების მარეგლამენტირებელი კონსტიტუციური დებულებების განმარტებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსი და დანიშნულება. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი მიმართულია ბუნებრივი გარემოსთვის რეალურ დროში არსებული საფრთხეების და გარემოსათვის მიყენებული ზიანის შეძლებისდაგვარად თავიდან აცილების ან/და გამოსწორებისაკენ. აღნიშნულისგან განსხვავებით, კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტი **შეეხება მომავალი თაობების ინტერესების დაცვის საჭიროებას და მიუთითებს, რომ ბუნებათსარგებლობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ისე, რომ ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ქვეყნის მდგრადი განვითარების პარალელურად დაბალანსდეს ეკოლოგიური ინტერესები, რათა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო შენარჩუნდეს.** შესაბამისად, ბუნებაზე ზემოქმედების შეზღუდვასთან დაკავშირებით, 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების რეგულირების სფეროს შესაძლებელია წარმოადგენდეს არა მხოლოდ უსაფრთხო გარემოსათვის დღეს არსებული (გარემოს სტატუს-ქვოსთვის შემცველი) საფრთხეების თავიდან აცილება, არამედ სამომავლო საფრთხეებისგან თავის დაცვაც“.

აქვე გასათვალისწინებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა საქმეზე „შპს „მადაი“ და შპს „პალიასტომი 2004“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის წინააღმდეგ, [N1/3/611](#), 30 სექტემბერი, 2016 წ.

„კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ერთი მხრივ, ადგენს თითოეული ინდივიდის უფლებას, „სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი“, ხოლო, მეორე მხრივ, განსაზღვრავს მის თანმდევ ვალდებულებას, ცხოვრებისა და საქმიანობის პროცესში გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს¹. აღნიშნული დანაწესი განამტკიცებს ინდივიდის უფლებას იმ გარემოზე, რომელიც, თავისთავად, ადამიანის ზემოქმედების გარეშე არსებობს და, იმავდროულად, ადგენს მის ვალდებულებას, გაუფრთხილდეს ამგვარი სახით არსებულ გარემოს, მაქსიმალურად შეინარჩუნოს იგი ხელოვნური ზემოქმედებისგან თავისუფალ მდგომარეობაში“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომის მიხედვით, გარემოს დაბინძურება შეიძლება მოექცეს კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა) დაცვის ქვეშ (Leon and Agnieszka Kania v. Poland), 2009 წლის 21 ივლისი; Dubetska and others v. Ukraine), 2011 წლის 10 თებერვალი (Flamenbaum a.o. v France), 2013 წლის 13 იანვარი.

თუ გარემოს დაბინძურება იწვევს სასიკვდილო შედეგს კონკრეტული პირების მიმართ ან შეიცავს სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელ რისკს, მაშინ სახელმწიფო შეიძლება პასუხისმგებელი იყოს კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევისთვისაც (Budayeva and Others vs. Russia), 2008 წლის 20 მარტი.)

¹ დღეს მოქმედი რედაქციით „მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება 1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე“.

სასიკვდილო შედეგს კონკრეტული პირების მიმართ ან შეიცავს სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელ რისკს, მაშინ სახელმწიფო შეიძლება პასუხისმგებელი იყოს კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევისთვისაც. იგივე მიდგომა აქვს არჩეული გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს, რომელმაც Port Hope, Ontario-ს საქმეში ბირთვული ნარჩენების წყალში მაღალი წნევით ჩაშვება მიიჩნია სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელად, რაც დიდი რისკის ქვეშ აყენებდა კონკრეტული თემის წევრებს, რომლებიც მახლობლად ცხოვრობდნენ. ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა სასამართლომ კი ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა დასახლებულ პუნქტთან ახლოს მიიჩნია სიცოცხლის უფლების ხელყოფად (Comunidad Yanomami), Case 7615, Inter-Am. C.H.R., 1985 წლის 5 მარტი)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2005 წლის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ „არც მერვე და არც სხვა რომელიმე მუხლი კონვენციისა არ ყოფილა ჩაფიქრებული გარემოს ზოგადი დაცვის უზრუნველსაყოფად“. ((Kyrtatos v. Greece), 2003 წლის 22 მაისი, 52-ე პუნქტი) მართლაც, მათი ევოლუციური ხასიათის მიუხედავად, ადამიანის უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებები არ ითვალისწინებენ შესაფერისი ან დამაკმაყოფილებელი გარემოს უფლებას, თუ ეს კონცეფცია იქნება ხარისხობრივად გაგებული და არ ახდენს გავლენას კონკრეტული ადამიანების უფლებებზე.

განსხვავებით ევროპული კონვენციისგან, ორჰუსის კონვენცია პირდაპირ მითითებებს აკეთებს და უშუალოდ არეგულირებს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების საკითხს.

1.12. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია: „გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ **კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების** მოთხოვნა, როდესაც მიიღო გადაწყვეტილება „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის № 689/ს ბრძანების გამოცემის შესახებ.

1.13. კერძოდ: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის **1-ლი მუხლის** თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და **გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების** გარანტიას“.

1.14. კონვენციის **მე-3 მუხლის** მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და **გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა** მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“.

1.15. კონვენციის **მე-6 მუხლის** თანახმად,

1. თითოეული მხარე:

ა) I დანართში ჩამოთვლილი შემოთავაზებული საქმიანობის ნებართვაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს;

2. ვინაიდან დაგეგმილ საქმიანობას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე და საქმიანობა შედის კონვენციის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობის ჩამონათვალში დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე. მათ შორისაა შემდეგი საკითხები:

- ა) შემოთავაზებული საქმიანობა და განაცხადი, რომელზეც იქნება მიღებული გადაწყვეტილება;
- ბ) შესაძლებელი გადაწყვეტილებების ხასიათი ან გადაწყვეტილების პროექტი;
- გ) ხელისუფლების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე;
- დ) გათვალისწინებული პროცედურა იმის ჩათვლით თუ როდის და როგორ იქნება ეს ინფორმაცია მოწოდებული:
 - I) პროცედურის განხორციელების დაწყება;
 - II) საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობანი;
 - III) ნებისმიერი წინასწარ დაგეგმილი სახალხო მოსმენის დრო და ადგილი;
 - IV) მითითება ხელისუფლების ორგანოდან, საიდანაც სათანადო ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი და სადაც ეს ინფორმაცია იგზავნება საზოგადოებისათვის განსახილველად;
 - V) შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო უწყების მითითება, რომელსაც შესაძლებელია გაეგზავნოს შენიშვნები, კითხვები და მათი წარდგენის განრიგი;
 - VI) მითითება იმის შესახებ თუ შემოთავაზებულ საქმიანობასთან დაკავშირებული რომელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი;
- ე) ფაქტი, რომ საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ თუ ტრანსსასაზღვრო პროცედურას.

3. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები სხვადასხვა ფაზებისათვის ითვალისწინებს გონივრულ ვადებს, რითაც ზემოთ, მეორე პუნქტის შესაბამისად იძლევა საკმარის დროს საზოგადოების ინფორმირებისათვის და გარემოს დაცვის საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მომზადებისა და მონაწილეობისათვის.

4. ყოველი მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ადრეულ ეტაპზე, როდესაც ვარიანტები დიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

5. ყოველი მხარე, სადაც ეს შესაძლებელია, ვალდებულია განაცხადის წარდგენამდე წაახალისოს პოტენციური მონაწილეები განსაზღვროს დაინტერესებული საზოგადოება, გამართოს მასთან მსჯელობა და განაცხადის წარდგენამდე მიაწოდოს მას ინფორმაცია მათი განაცხადების ამოცანებზე ნებართვის მიღების შესახებ.

6. ყოველი მხარე კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოსაგან მოითხოვს, მოთხოვნის შესაბამისად, თუკი ამას ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა, მისცეს დაინტერესებულ საზოგადოებას საშუალება, როგორც კი ამის შესაძლებლობა გამოჩნდება, უფასოდ და დროულად შეამოწმოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად იქნება საჭირო, რომელზეც ამ მუხლშია საუბარი და რომელიც საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის მომენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება მხარეების იმ უფლების შელახვის გარეშე, რაც გულისხმობს გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარის თქმას, (მეოთხე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად). ასეთ ინფორმაციაში შევა მინიმუმ მეოთხე მუხლის ინფორმაცია ამ მუხლის პირობების დარღვევის გარეშე;

ა) სავარაუდო საქმიანობის ადგილის და ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლების აღწერილობა მოსალოდნელი ნარჩენებისა და გამონაბოლქვების შეფასების ჩათვლით;

ბ) იმ მნიშვნელოვანი გავლენის აღწერა, რომელსაც მოახდენს შემოთავაზებული საქმიანობა გარემოზე;

- c) იმ დონისძიებების აღწერა, რომელიც გათვალისწინებულია შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, გამონაბოლქვების ჩათვლით;
- d) ზემოაღნიშნულის არატექნიკური შეჯამება;
- e) განმცხადებლის მიერ შესწავლილი ძირითადი ალტერნატივის მონახაზი;
- f) ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ის ძირითადი მოხსენებები და ინფორმაცია, რომელსაც გამოსცემს ხელისუფლების ორგანო იმ დროისათვის, როდესაც დაინტერესებულ საზოგადოებას ზემოთ მოცემული მეორე პუნქტის მიხედვით უნდა მიეწოდოს ინფორმაცია.

7. საზოგადოების მონაწილეობისათვის დადგენილი პროცედურა ნებას რთავს საზოგადოებას წარადგინოს საზოგადოების მოსმენაზე ან შეკითხვისას წერილობითი სახით, განმცხადებლის ხელით ნებისმიერი შენიშვნა, ინფორმაცია, ანალიზის შედეგი ან აზრი, რომელსაც იგი შემოთავაზებული საქმიანობისათვის შესატყვისად მიიჩნევს, თუკი ეს ხელსაყრელია.

8. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს.

2021 წლის 3 ივნისს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსმა გამოსცა № 689/ს ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარედ 153,1070ჰა ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების გაყიდვის გეგმა.

მიღებული გადაწყვეტილება სრულად შეესაბამება კონვენციის I დანართის მე-16. პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას - „მადაროები და კარიერები, სადაც ღია წესით მოპოვების ადგილის ზედაპირი აღემატება 25 ჰექტარს ან მიწისქვეშა მოპოვება, სადაც სამთო-სამუშაოების გავლენის ზონა აღემატება 150 ჰექტარს“. შესაბამისად, საზოგადოებისათვის ცნობილი უნდა გამხდარიყო დაგეგმილი საქმიანობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია; ასევე, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კონვენციით ნათლად განსაზღვრული პროცედურის დაცვით, საზოგადოების მონაწილეობა. კონვენციის არცერთი ეს მოთხოვნა შესრულებული არ ყოფილა.

1.16. კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად,

9. ყოველი მხარე ვალდებულია შესაბამისი პროცედურის მიხედვით დაუყონებლივ აცნობოს საზოგადოებას ხელისუფლების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ყველა მხარე ვალდებულია ნება დართოს საზოგადოებას, გაეცნოს გადაწყვეტილების ტექსტს, იმ მიზეზებისა და შეხედულებების ჩათვლით, რომელსაც გადაწყვეტილება დაეყრდნო.

მიღებული გადაწყვეტილებები არ გამხდარა საზოგადოებისათვის ცნობილი. მეტიც, გადაწყვეტილებების მიღებისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების მოპოვება მწვანე ალტერნატივამ მხოლოდ დამატებით კონკრეტული დოკუმენტების მოთხოვნის შედეგად შესძლო და გადმოცემული დოკუმენტების შინაარსიდან ნათელია, რომ სრულად დოკუმენტაცია კვლავაც არ გადმოგვცემია.

გრიგოლ გაგნიძეს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის განსახილველად კი, სსიპ წიაღის ეროვნულმა სააგენტომ, სრულიად უკანონოდ, ხელმოწერილი განცხადების წარდგენა მოსთხოვა, რითაც დამატებითი ბარიერი შეუქმნა ინფორმაციის მოსაპოვებლად.

1.17. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ზემოთჩამოთვლილი დებულებების არ გამოყენების შესაძლებლობას - „თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს ამ მუხლის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე“.

როგორც მიღებული გადაწყვეტილების შინაარსიდან ნათელია, დაგეგმილ საქმიანობას არაფერი აქვს საერთო ეროვნულ თავდაცვასთან.

1.18. „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ ასოცირების შესახებ შეთანხმების 306 მუხლის თანახმად, საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXVI დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად. XXVI დანართის თანახმად, კი ერთერთი ასეთი აქტია - 1992 წლის 21 მაისის საბჭოს 92/43/EC დირექტივა ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ, 97/62/EC, 2006/105/EC დირექტივების და (EC) N1882/2003 რეგულაციის მიერ შეტანილი შესწორებების შესაბამისად. ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, ამ დირექტივის დებულებებიდან ერთ-ერთი შესასრულებლად სავალდებულო მე-6 მუხლია.

„ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) დირექტივის მეექვსე მუხლის შესამე ნაწილის თანახმად:

„3. ნებისმიერი გეგმა ან პროექტი, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება ან არ არის აუცილებელი საიტის მართვისთვის, მაგრამ შესაძლოა ინდივიდუალურად ან სხვა გეგმებთან ან პროექტებთან კომბინაციაში მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს მასზე, ექვემდებარება შესაბამისობის შეფასებას, რათა შეფასდეს თუ რა ზემოქმედება შეიძლება იქონიოს დაგეგმილმა საქმიანობამ საიტის საკონსერვაციო მიზნებზე. შეფასების დასკვნებისა და მე-4 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, **კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაეთანხმონ გეგმის ან პროექტის განხორციელებას, რაც დაადგინენ, რომ ეს საიტის მთლიანობაზე უარყოფითად არ იმოქმედებს და თუ ეს შესაძლებელია, ფართო საზოგადოების მხრიდან მოისმენენ მოსაზრებებს**“.

მე-6 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კი:

„4. თუ, საიტზე ზემოქმედების უარყოფითად შეფასებისა და ალტერნატიული გადაწყვეტის (ალტერნატივების) არარსებობის მიუხედავად, გეგმა ან პროექტი მაინც უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ინტერესით გამოწვეული აუცილებლობის, მათ შორის, სოციალური და ეკონომიკური ხასიათის აუცილებლობის გამო, წევრმა სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ყველა აუცილებელი საკომპენსაციო ღონისძიება, რათა გარანტირებული იყოს „ნატურა 2000“-ის ზოგადი მთლიანობის დაცვა. მან უნდა აცნობოს კომისიას დამტკიცებული საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ. იმ შემთხვევებში, როდესაც საშიშროების წინაშე მყოფ საიტზე გვხვდება პრიორიტეტული ბუნებრივი ჰაბიტატის ტიპი და/ან პრიორიტეტული სახეობა, პროექტის განხორციელების საკითხი შეიძლება წამოიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უკავშირდება ადამიანთა ჯანმრთელობასა და საზოგადოების უსაფრთხოებას, ექნება პირდაპირი დადებითი შედეგები გარემოსთვის, ან კომისიის მოსაზრებით, არსებობს საზოგადოებრივი ინტერესით გამოწვეული სხვა აუცილებლობა“.

სსიპ წიაღის ეროვნულმა სააგენტომ ე.წ. ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასება, ანუ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტის მომზადება, პოსტ ფაქტუმ, უკვე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად ჩატარებულ აუციონზე გამოვლენილ საქმიანობის განხორციელებით დაინტერესებულ ლიცენზიანტს დაავალა.

2. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი მათი ძალაში შესვლის დღიდან - „შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/6405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #898/ს ბრძანება; და „შპს „მნ ნორთი“-ზე (ს/6405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #899/ს ბრძანება.

2.1 გასაჩივრებული ბრძანებები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შესაბამისად, დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ და სხვა საკანონმდებლო თუ

კანონქვემდებარე აქტების დებულებებთან. მიგვაჩნია, რომ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N898/ს ბრძანება და 2021 წლის 9 ივლისის #899/ს ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც, ბათილად უნდა იქნას ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი, მეორე და მეშვიდე ნაწილების თანახმად შემდეგ გარემოებათა გამო:

2.2. ბრძანებები გამოცემულია კანონსაწინააღმდეგო აქტის - „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის № 689/ს ბრძანების საფუძველზე.

2.3. ადმინისტრაციულმა ორგანომ ამ აქტის გამოცემისას გააგრძელა „გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნების უგულებელყოფა.

2.4. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად: მოქალაქეს უფლება აქვს:

- ა) ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ და ჯანსაღ გარემოში;
- ბ) სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი;
- გ) მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ;
- ვ) მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებებით ილახება “გარემოს დაცვის შესახებ“ კანონით ჩვენთვის მონიჭებული ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები, ვინაიდან გადაწყვეტილებები მიღებული იქნა გარემოსათვის ზიანის მიყენების რისკების წინასწარი შეფასებისა და ჩვენი მონაწილეობის გარეშე.

2.5. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის თანახმად:

ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. **ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე.**

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ილახება საქართველოს კონსტიტუციით ჩვენთვის მონიჭებული ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრებისა და ბუნებრივი გარემოთი თავისუფლად სარგებლობის უფლებები ვინაიდან გადაწყვეტილებები მიღებული იქნა გარემოსათვის ზიანის მიყენების რისკების წინასწარი შეფასებისა და მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების და/ან შემსუბუქებისათვის ღონისძიებების დაგეგმვის გარეშე. მიღებული გადაწყვეტილება გარემოს დაცვაზე ზრუნვის ჩვენი უფლების უგულებელყოფით მოხდა. ამავდროულად, ამ გადაწყვეტილების წინასწარი შეფასების გარეშე მიღებით, სახელმწიფომ უგულებელყო ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობის უზრუნველსაყოფის შესახებ მისი ვალდებულება.

3. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2022 წლის 25 იანვრის N1-1/26 ბრძანება ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივას, ა(ა)იპ - სოციალური სამართლიანობის ცენტრისა და გრიგოლ გაგნიძის N14921/21 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

4.1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს მთავრობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

4.2. სზაკ-ია 183.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ერთი თვის ვადაში. ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 28 ოქტომბრის № 1-1/469 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადად განისაზღვრა წარმოებაში მიღების დღიდან 2 თვე.

4.3. სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით და საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით ცალსახად არის დადასტურებული, რომ ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივას, ა(ა)იპ - სოციალური სამართლიანობის ცენტრისა და გრიგოლ გაგნიძის N14921/21 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება არც კანონიერების და არც მიზანშეწონილობის თვალსაზრისით არ შეუმოწმებია, რის გამოც მიღებული გადაწყვეტილება - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2022 წლის 25 იანვარს გამოცემულია N1-1/26 ბრძანება - ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივას, ა(ა)იპ - სოციალური სამართლიანობის ცენტრისა და გრიგოლ გაგნიძის N14921/21 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც არის სრულიად დაუსაბუთებელი - ექვემდებარება ბათილად ცნობას.

4.4. სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

მტკიცებითი შუამდგომლობები

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

დაევალოს მოპასუხებს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების სრულად წარმოდგენა.

სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

სასამართლოს მიერ მითითებულ გადაწყვეტილებაზე რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერებული იქნეს „შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #898/ს ბრძანების და “შპს „მნ ნორთი“-ზე (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #899/ს ბრძანების მოქმედება.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით უფლების სასამართლო წესით დაცვა ყველა პირისათვის უზრუნველყოფილია. ადმინისტრაციული მართლმსაჯულება ნებისმიერი პირის უფლების ეფექტური დაცვისაკენ უნდა იყოს მიზანმიმართული. ეფექტური დაცვა კი არა მარტო უფლების აღდგენას, არამედ უფლების დროებით დაცვასაც გულისხმობს, რომელმაც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უფლების პრევენციული დაცვა უნდა უზრუნველყოს (საქართველოს უზენაესი სასამართლო, Nბს-1013-1009(2კს-17), 22.02.2018 წ.).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი დაცვის ღონისძიება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება წარმოადგენს ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას.

ადმინისტრაციულ სამართალში არსებობს უფლების დაცვის პრევენციული საშუალება, რომლის მიხედვითაც სადავოდ გამხდარი ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე მისი მოქმედება ჩერდება. თუმცა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც აქტის გასაჩივრება პირდაპირ არ აჩერებს მის მოქმედებას. კერძოდ, აღნიშნული ნაწილის, "ე" და "ვ" ქვეპუნქტების შესაბამისად, აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ აქტი წარმოადგენს აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის უფლებას და ასევე, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით.

გასაჩივრებული ლიცენზიები წარმოადგენს აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ამასთან, ლიცენზიებისა და ნებართვების" შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მიხედვით, ნებართვის სადავოდ გახდომის შემთხვევაში, მისი მოქმედება არ ჩერდება.

ზემოაღნიშნული საფუძვლების მიუხედავად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ ან თუ

მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს ხდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას. სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების ვადა.

სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასაბუთება მიანიშნებს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონმდებლობის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით არის გამოცემული. ამასთან, ლიცენზიის არსებობით განხორციელებული სამუშაოებით არსებითი ზიანი ადგება მოსარჩელეთა კანონიერ უფლებასა და ინტერესებს. შეუქცევადი და გამოუსწორებელი ზიანი ადგება ბუნებრივ გარემოს და საფრთხე ექმნება ადგილობრივთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შეჩერების მატერიალური სამართლებრივი საფუძვლები გააჩნია. შესაბამისად, გთხოვთ, დააკმაყოფილოთ ჩვენი შუამდგომლობა და სასამართლოს მიერ რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩეროთ „შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #898/ს ბრძანების და “შპს „მნ ნორთი“-ზე (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #899/ს ბრძანების მოქმედება.

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?		
დიახ	<input type="checkbox"/>	ვის? რომელი ენის მცოდნე?
არა	<input checked="" type="checkbox"/>	

სარჩელის ფასი — არაქონებრივი ლარი
 სახელმწიფო ბაჟი — 100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის #: 200122900 (იხ. [სახაზინო კოდები](#))

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ არა

რის საფუძველზე??

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

დიახ მტკიცებულება: დანართი 28. დანართი 29. დანართი 30.

არა რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გედღევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ მორიგების პირობები:

არა რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა

რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დასრულება გონივრულია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა

რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

1. „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის № 689/ს ბრძანება - 9 ფურცელი;
2. ირაკლი ნოზაძის 202 წლის 24 აგვისტოს განაცხადი - 1 ფურცელი;
3. ირაკლი ნოზაძის 2020 წლის 20 ივლისის განაცხადი - 1 ფურცელი;
4. გოსაინფორმაციო პაკეტი 50521_15637 ID_2020 – 3 ფურცელი
5. გოსაინფორმაციო პაკეტი 50353_14725_ID_2020 – 6 ფურცელი;
6. წიაღის ეროვნული სააგენტოს წერილი # 22/6815 21 / სექტემბერი / 2020 წ. – 1 ფურცელი
7. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი N 9717/01, 15/10/2020 – 2 ფურცელი
8. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული სტრატეგიული დოკუმენტი „ზურმუხტის ქსელი“ – 2 ფურცელი;
9. წიაღის ეროვნული სააგენტოს წერილი # 22/6897 23 / სექტემბერი / 2020 წ.; - 1 ფურცელი
10. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი N 9943/01, 21/10/2020 – 2 ფურცელი;
11. „შქმერში მანგანუმის მოპოვება სურთ - გაიზიარებს თუ არა ზემო რაჭა ქიათურის ბედს“, მთის ამბები, 06 ივლისი 2021 – 5 ფურცელი;
12. სოფელ შქმერის განვითარების კონცეფცია - 20 ფურცელი;
13. „შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/6405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #898/ს ბრძანება - 9 ფურცელი;

14. “შპს „მნ ნორთი“-ზე (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #899/ს ბრძანება - 8 ფურცელი;
15. მწვანე ალტერნატივას 2021 წლის 6 აგვისტოს № 21/03-851 წერილი - 1 ფურცელი
16. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 27 აგვისტოს #22/311 წერილი - 1 ფურცელი;
17. დანართი #15. მწვანე ალტერნატივას 2021 წლის 2 სექტემბრის № 21/03-857 წერილი - 2 ფურცელი;
18. დანართი #16. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 29 სექტემბრის #22/311 წერილი - 1 ფურცელი;
19. გრიგოლ გაგნიძის 2021 წლის 28 სექტემბრის წერილი - 2 ფურცელი;
20. დანართი #18. წიაღის ეროვნული სააგენტოს 28 სექტემბრის წერილი - 1 ფურცელი;
21. გრიგოლ გაგნიძის 2021 წლის 8 ოქტომბრის წერილი - 2 ფურცელი;
22. წიაღის ეროვნული სააგენტოს 15 ოქტომბრის წერილი - 1 ფურცელი;
23. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის მიმართვა პარლამენტს, 25.09.2021 – 17 ფურცელი;
24. „ადგილობრივები რაჭაში მანგანუმის დაგეგმვლ მოპოვებას აპროტესტებენ“, 24/11/2021, civil.ge – 4 ფურცელი;
25. მწვანე ალტერნატივას 2021 წლის 1 ნოემბრის #21/09/03-82 წერილი - 1 ფურცელი;
26. წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 9 დეკემბრის #22/8365 წერილი - 1 ფურცელი;
27. წიაღის ეროვნული სააგენტოს წერილი #22/404, 27 დეკემბერი/2021 წ. - 73 ფურცელი;
28. ადმინისტრაციული საჩივარი - 17 ფურცელი;
29. შპს „ტექნოლოჯი 2021“-ს (ს.კ 405470869) მიერ მანგანუმის მადნის უკანონო მოპოვების შედეგად გარემოსათვის მიყენებულმა ზიანის გაანგარიშება, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, 11.01.2022 – 3 ფურცელი;
30. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 28 ოქტომბრის № 1-1/469 ბრძანება- 2 ფურცელი;
31. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2022 წლის 25 იანვარს გამოცემულია N1-1/26 ბრძანება. 5 ფურცელი;
32. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან - 2 ფურცელი;
33. რწმუნებულება - 2 ფურცელი;
34. ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან - 2 ფურცელი;
35. გრიგოლ გაგნიძის პირადობის მოწმობის ასლი - ფურცელი.
36. ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 212 ფურცელი.

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დიახ	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. მითითებულია სხლომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. მითითებულია დავის საგანი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია სარჩელის ფასი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12. სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13. სარჩელი ხელმოწერილია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14. სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	<input type="checkbox"/>	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	<input type="checkbox"/>	ხელმოწერა	სახელი და გვარი
	<input type="checkbox"/>	კუნეტების ჩამონათვალი			

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპის საფუძველზე _ თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	<p>ნინო გუჯარაიძე აღმასრულებელი დირექტორი ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა</p> <p>თამთა მიქელაძე დირექტორი ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრი</p> <p>გრიგოლ გაგნიძე</p>	22.02.2021
--	--	------------

ხელმოწერა

ხელმოწერის სახელი და გვარი

შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცლარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცლარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევს ჩათვლით.